ადრესატი:

ბესიკ ტაბიძე
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

წერილის ნომერი:**31-31251182**
თარიღი: **28/04/2025**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“

სხდომის ოქმი N 3

ქ. ლანჩხუთი

25.04.2025 წელი

14:00 საათი

სხდომას ესწრებოდა: ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე: **კახაბერ ასკურავა.**

ფრაქციის წევრები: ირმა მგელაძე, გიორგი გოგუაძე, გივი ცინცაძე.

სხდომას ესწრებოდა მოწვეული სტუმრები: მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი **შოთა ჩაგუნავა,** მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი **როლანდ ლაშხია,** მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და ეკონომიკის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი **ალეკო კირვალიძე,** საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების მთავარი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში **ლაშა სარჯველაძე,** საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი **ხათუნა ვადაჭკორია.**

ფრაქციის სხდომის თავმჯდომარემ, კახაბერ ასკურავამ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის იმ დასახლების განსაზღვრის შესახებ, სადაც არ არის ავტოსადგური, საიდანაც ხორციელდება საქალაქთაშორისო რეგულარული სამგზავრო გადაყვანა და სადაც სავალდებულო არ არის ავტოსადგურიდან რეისის გასვლა“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

/მომხსენებლები: კახაბერ ასკურავა; შოთა ჩაგუნავა/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამით 2025 წელს დასაფინანსებელი პროექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

მომხსენებლები: კახაბერ ასკურავა; ალეკო კირვალიძე/

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

4. სხვადასხვა საკითხები.

ფრაქციის თავმჯდომარემ, კახაბერ ასკურავამ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს.

მომხრე - 4 ; წინააღმდეგი არცერთი.

1. დღის წესრიგის პირველი საკითხი: ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის იმ დასახლების განსაზღვრის შესახებ, სადაც არ არის ავტოსადგური, საიდანაც ხორციელდება საქალაქთაშორისო რეგულარული სამგზავრო გადაყვანა და სადაც სავალდებულო არ არის ავტოსადგურიდან რეისის გასვლა“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა **შოთა ჩაგუნავამ.** მან განმარტა, რომ საქართველოში, საავტომობილო სამგზავრო გადაყვანის სფეროს მოწესრიგების მიზნით, 2023 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო შესაბამისი საკანონმდებლო პაკეტი. მათ შორის, ცვლილებები საქართველო ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში“.

აღნიშნული ცვლილებების საფუძველზე, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის ,, კ 2“ ქვეპუნქტის თანახმად, დადგენილია საავტომობილო სამგზავრო გადაყვანის რეფორმის ფარგლებში მუნიციპალიტეტის შემდეგი უფლებამოსილება, კერძოდ, მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებულ დასახლებაში ავტოსადგურის არ არსებობის შემთხვევაში, შესაბამისი ნორმატიული აქტით იმ დასახლებების ჩამონათვალის განსაზღვრა, სადაც სავალდებულო არ არის ავტოსადგურიდან რეისის გასვლა.

სხდომის თავმჯდომარემ, კახაბერ ასკურავამ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

მომხრე 4; წინააღმდეგი არცერთი.

2. დღის წესრიგის მეორე „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამით 2025 წელს დასაფინანსებელი პროექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას წარუდგინა მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და ეკონომიკის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა **ალეკო კირვალიძემ.** მისი განმარტებით, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის №654 დადგენილების შესაბამისად. განსახილველად და დასამტკიცებლად, წარმოდგენილია ზემოთ აღნიშნული ფონდიდან 2025 წელს დასაფინანსებელი პროექტების ნუსხა.

გიორგი გოგუაძე დაინტერესდა, ნებისმიერ სოფელში განხორციელებული კონკრეტული პროექტიდან თუ დარჩა გარკვეული ოდენობის თანხა, სად მიიმართება დარჩენილი თანხა.

მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა **შოთა ჩაგუნავამ** განმარტა, რომ სოფელის მოსახლეობა ირჩევს რამდენიმე პროექტს, წინასწარ დაახლოებით განსაზღვრება საორიენტაციო თანხა. თუ გამონთავისუფლდა თანხა განხორციელდება შემდეგი პრიორიტეტული პროექტი. ასევე პროექტები ხორციელდება თანადაფინანსებით, რომელმაც გაამართლა გასულ წლებში და ამ შემთხვევაში თანხა არ დარჩება, პირიქით მუნიციპალიტეტი უმატებს თანადაფინანსების თანხას.

სხდომის თავმჯდომარემ, კახაბერ ასკურავამ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

მომხრე 4; წინააღმდეგი არცერთი.

3. დღის წესრიგის მესამე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის შესახებ **კახაბერ ასკურავამ** განმარტა, რომ ვინაიდან მუნიციპალიტეტი არ ითვალისწინებს აუდიტის დასკვნას და მის გარეშეა წარმოდგენილი

ანგარიში, ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ არ მიიღებს მონაწილეობას 2024 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის განხილვაში.

სხდომის თავმჯდომარემ, კახაბერ ასკურავამ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

მომხრე 0; წინააღმდეგი-4.

4. სხვადასხვა საკითხები:

1. **კახაბერ ასკურავამ** განაცხადა, რომ ყოვლად დაუშვებელია საკვები პროდუქტის ქუჩაში გაყიდვა, მითუფრო რძის ნაწარმის და თევზის. შესაბამისი სამსახური რატომ აძლევს გარევაჭრობის ნებართვას, ასევე გარემოვაჭრეები სად იხდიან ე.წ. ადგილის თანხას. მისი მოსაზრებით აუცილებელია გამოიყოს ტერიტორია, სადაც გარემოვაჭრეები განთავსდებიან, ექნებათ შესაბამისი პირობები და გადასახდელი თანხაც მათთვის მისაღები იქნება.

2. **კახაბერ ასკურავა** დაინტერესდა, თუ როდის დასრულდება ორაგვის ადმინისტრაციულ ერთეულში ტურიზმის განვითარებისთვის დაწყებული ინფრასტრუქტურული პროექტი.

მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და ეკონომიკის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა **ალეკო კირვალიძემ** განმარტა, რომ სამუშაოები თითქმის დასრულებულია, დარჩენილია ზიპლაინის მოწყობა, რისთვისაც თავიდან უნდა გამოცხადდეს ტენდერი.

ამით ფრაქციამ მუშაობა დაასრულა.

პატივისცემით,

კახაბერ ასკურავა

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-საკრებულოს ფრაქცია "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"თავმჯდომარე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია
„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრების

სარეგისტრაციო ფურცელი
25.04. 2025 წელი
14.00 საათი

სახელი, გვარი	დაწყების დრო	ხელმოწერა
1. თავმჯდომარე – კახაბერ ასკურავა		
2. გიორგი გოგუაძე		
3. ირმა მგელაძე		
4. გივი ციწცაძე		